

ვუძღვნი ილია ნაკაშიძეს.

# კაცობრიობა

სამსჯავროს წინაშე.

ძიხეილ ივანეს ძე „ძომაკედავისა“

---

თბილისი.

სტამბა არ. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქუჩა № 34.

1912 წ.





ვუძღვნი ილია ნაკაშიძეს.

# კაცობრიობა

სამსჯავროს წინაშე.

29581

მიხეილ ივანეს ძე „მომაკვდავისა“



თბილისი.

სტამბა არ. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქუჩა. № 34.

1912 წ.



# კაცობრიობა

## სამსჯავროს წინაშე.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა კაცობრიობა გართული იყო თავის ჩვეულებრივ ფუსფუსში, მოულოდნელად გაისმა ხმა, რომელიც იწვევდა ყველას, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ სამსჯავროს წინაშე. გაგონება იყო ამ ხმისა და ყველა დაფაცურდა. მეფე თუ ერი, ღვდელი თუ ბერი, ვაჭარი თუ სხვა მოხელე, დიდი თუ პატარა დაემორჩილა ამ ხმას; მწამსვე შეაჩერეს თავ-თავისი საქმე და გასწიეს იქით, საითკენაც უთითებდა ეს ხმა.

დიდებულნი და ამათის ქომაგის მოიმედენი მიდიოდნენ დამშვიდებით; ჩაგრულნი და დამონებულნი კი ამა ქვეყნისა ჩვეულობრივი უიმედობით, გულგატეხილნი. ორივე მხარე დარწმუნებული იყო, რომ მათ განიკითხავდნენ ამავე ქვეყნის მსაჯულნი. ამ ყოფით კაცობრიობა მიაღვა ერთ გოლგოთას, რომლის წვერი ბურუსით იყო მოცული.

აი ამ ალაგისაკენ უთითებდა ხმა. გოლგოთას წინ დაცემულს ტრიალს მინდორს ხალხი ტალღასავით ასქდებოდა.

აი შესწყდა დენა. კაცობრიობამ მოიყარა თავი



და სულ განაბული შესცქეროდა გოლგოთას, რომელსაც ბურუსი არ შორდებოდა.

უცბათ იქეჭა ცაში; ამოვარდა ძრიელი ქარი და თვალის დახამხამებაზედ გაჰფანტა ბურუსი. შესდგა ქარი, ერთ ხანად თავ-რეტ დასხმული კაცობრიობაც გამოირკვა და რას ხედავს-ბეგობზედ წამომდგარა ვილაც მოხუცი ყავარჯნით ხელში; ამ მოხუცს ორივე მხარეს ჩასდგომიან რამდენიმე პირი ნაღვლიანი, გამტყდარი სახით და ყველანი ერთად მიუდგომელი, მაგრამ სიყვარულით გაღვიებული თვალებით გადმოსცქეროდნენ კაცობრიობას. დანახვა ამათი და კაცობრიობის ჟრიამული ერთი იყო. ამათში ეხლა სურათი შეიცვალა. აქამდენ მხიარულნი ეხლა შეშფოთდნენ, აცახცახდნენ, და ვინც ნაღვლიანნი იყვნენ რალაც კმაყოფილება იგრძნეს. მიზეზი ამ ცვლილებისა, რასაკვირველია, გოლგოთას მოჩვენება იყო.

ამ ჟრიამულში იყო კაცობრიობა, რომ მოხუცი, აქამდისინ ყავარჯენზედ დაბჯენილი, გაიმართა წელში, წინ გაიწოდა მარჯვენა ხელი და მქუხარე, მტკიცე ხმით მიმართა სმენათ გარდაქცეულ კაცობრიობას.

— საყვარელო შვილნო, მოისმინეთ სურვილი განგებისა--გაძლიერდა თქვენ შორის ტანჯვა, ის მცირედი სიხარული, რომელიც კი ლოდინებს თქვენში, ისეა თქვენ საერთო ტანჯვასთან, როგორც წვეთი ზღვასთან; ეს არის მიზეზი, რომ თქვენი კვნესა-ბლა-



ვილი-ლა მოისმის ზეცას. ამის მიზეზათ დიდი უმრავლესობა თქვენში ასახელებს ერთ ჯგუფს. ეს სურათი აშფოთებს განგებას. აშფოთებს ამავე მიწის ყოფილ შვილებსაც; მაგრამ სულ-გრძელია განგება, ჩვენ კი სულ-მოკლენი. შეიწყნარა განგებამ ჩვენი სისუსტე და აჰა მოგვანიჭა ჩვენ უფლება განვიკითხოთ კაცობრიობა. და აი მოგიწოდეთ კიდევ სამსჯავროს წინაშე. დღევანდელი დღე არის დღე თქვენი განკითხვისა; დღეს ყველა თქვენგანი-მეფე თუ ქვეშემრდომი, ღვდელი თუ ერი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი განიკითხება მიუდგომლად; ასეთია სამართალი ღვთისა!—დასჭექა მოხუცმა და ამღელვარებული ყავარჯენს დაეყრდნო.

ამის გაგონება იყო და უარესად აჟრიამულდა კაცობრიობა, ვის თავ-ზარი დაეცა, უსიტყვოთ გააბა გმინვა და ელდა ნაკრავი უკან-უკან იხევდა; ვინ კიდევ სიხარულმა აიტაცა და უსიტყვოთ ხარობდა. ამ ყოფაში იყო კაცობრიობა, რომ გამეორდა ნაცნობი ხმა.

— სმენა, კაცობრიობავ, აბა წამოდექით პირველად სამსჯავროს წინ, თქვენ ამა ქვეყნის დიდებულნი!

დიდებულნი წარსდგენ.

— ისმინე, კაცობრიობავ, გასამართლდებით იმ შეგნებით, რომელიც უკვე განმტკიცებულია თქვენში. აბა, ამა ქვეყნის, დიდებილნი, გაქვთ თუ არა



დადებული პატიოსანი სიტყვა, ემსახუროთ ხალხის კეთილ დღეობას?

— მართალია, ჭეშმარიტებაა-გაისმა პასუხი დიდებულთა.

— მერე ასრულებდით კიდევ? ზრუნავდით ხალხისათვის?

— მე.. მე როგორც წინაპართ უცხოვრიათ.. მე როგორც ჩამგონებია, მე როგორც მესმოდა.. მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავით!.. მე როგორც სხვა იქცეოდა!

— აბა თქვენ, მოხელენო, რაღას იტყვით?“  
შეეკითხა მოხუცი

— ჩვენც როგორც გვესმოდა... როგორც სხვა იქცეოდა... როგორც გვაგონებდნენ... ასე ისამართლებდნენ თავს მოხელეებიც.

— ჩამოდექით მარცხნივ; თავ-თავის მსჯავრი ყველას ერთად გამოგეცხადებათ.

აბა წამოდექით ეხლა თქვენ, სულის მამანო, სამღვდელოებავ!“

წამოდგნენ სამსჯავროს წინ მამანიც.

— აბა, მოძღვარნო. ხალხის სულიერო მეთაურნო, აღვიარეთ საჯაროთ, რას გავალებდათ თქვენ თქვენი თანამდებობა?-

— სახარების გამტკიცებას.. სიყვარულის მოფენას ხალხთა შორის.. ჩაგრულთა მფარველობას „სიმართლის დაცვას“.



მოსთქვამდა სამღვდელოება.

— მერე რამდენად ასრულებდით ამას?  
კვლავ შეეკითხა მოხუცი.

— რა ვქნათ, მოხუცო, ასეთი იყო პირობა..  
ასე აღვიზარდენით. როგორც შეგვეძლო...  
ქვითინებდა სამღვდელოება.

— აჰა მე უკანასკნელი ვარ ამათში.. ჭეშმარი-  
ტად ღირსი ვარ სასჯელისა.. ცოდვა ჩემი ცხადია,  
მოხუცო?—

გაისმა შიგა და შიგ ეს ხმები და ბრალდებულთაგან  
გამოეყო რამდენიმე სახე გაფითრებული, ძველებში  
გახვეული პირი.

— ნუ ინებებ, მოხუცო, მაგათ დასჯას, მაგათ-  
ზედ ცუდი არა გვეთქმის-რა. ჭეშმარიტად ეგენი გვეყან-  
დნენ ადამიანები!-გაიძახოდა აღშფოთებული ხალხი.

— კმარა, უფლის წინ ყოველივე ცხადია. მა-  
ღალი სული წინ უძღვის ადამიანის გაჭირვებას. ჩა-  
მოდექით თქვენც მარცხნივ— ნაღვლიანად მიმართა  
მოხუცმა ბრალდებულთ. სამღვდელოება ჩამოდგა.

— ახლა კი, მოხუცო, მოუხმე ვაჭრებს-ამ ჩვენი  
სისხლის მსმელებს.!

გაიძახოდა ხალხი. დაძახება იყო ამისი და ვაჭ-  
რებიც აქვითინდნენ; ეგ არის გამოემართნენ სამსჯავ-  
როსაკენ, რომ კვლავ გაისმა მოხუცის ხმა.

— შეჩერდით ჯერ თქვენ, წამოდექით სამსჯავროს  
წინ, თქვენ, ყრმათა მეთაურნო, აღმზრდელნო!“



მოულოდნელი იყო ეს ხმა როგორც ამათთვის, ისე დანარჩენებისათვის.

აქამდისინ დამშვიდებულ ყრმათა აღმზრდელებს ეხლა ერთი ჩოჩქოლი შეექმნათ. ვინ თმაზედ იტაცებდა ხელს, ვინ ფრაკზედ; უფროსი უმცროს აწყდებოდა, ერთი მეორეს შესცქეროდა და ელიჭინებოდა; ყველანი კი ერთად გამოწყობილნი ფერად ტანისამოსში მოდიოდნენ სამსჯავროსაკენ.

— ისმინეთ ყრმათა მოძღვარნო—გადმოსძახა მოხუცმა—აბა აღვიარეთ საჯაროთ, ვის უდექით თქვენ სათავეში?

— ახალგაზდობას.. ახალ თაობას-. ვაი-ვაგლახით, მოწაფურის კილოთი აძლევდნენ პასუხს.

— ხომ იცოდით ვის წააგავდა ქორთა?

რასაკვირველია, ნამყენს, ჩვენ კი მებაღეს, ან კიდევ ისინი მიწას, ჩვენ კი მთესველებს...

— მართალია, მერე უპირველესად ყოვლისა რა უნდა გეხეირებინათ იმათში?.

— აქ კი მასწავლებლობას ხმა ჩაუწყდა, იცოდა რა უნდა ეთქვა, მაგრამ ერიდებოდა სწორეთ ამის თქმას.

— რასაკვირველია, პირველად თავის შეგნება, შეგნება ცხოვრებისა..და მერე სხვა ამის შესაფერი.— ძალ-დატანებით წამოიძახა ვილამაც.

— მერე ასრულებდით მაგას.? უთბობდით გულს ურთი ერთის სიყვარულით, აცნობდით ცხოვრებას?—



ძლივს შეეკითხა მოხუცი, რომ საცოდავით აბლაგ-  
ლდა ქორფობა, რომელთაც ბანი მისცეს მოზრდი-  
ლებმაც და ყველანი გულ-ჩამწყდარნი შეაქქერდნენ  
აღმზრდელთ:

—სამაგისო მაგათგან არა გაგვიგიარა.. პირ-  
იქით გვიზობდნენ ყველა სამაგისოს“!. გაიძახოდნენ  
ისინი. ამოთ ფათურობდნენ აღმზრდელები, შეესუს-  
ტებინათ ეს ამონახეთქი გულის წყრომა; თავის და  
უნებურათ ამოად უბღვრიალებდნენ თვალებს ახალ-  
თაობას, ამოად უბაკუნებდნენ ფეხებს... ახალგაზდო-  
ბა უფრო მწვავედებოდა.

—ერია... ესენი კი როგორ მივიყრუვეთ.. მართ-  
ლა, ხალხო!.. მოდი და გაამტყუნეთ უვიცი ვაჭრე-  
ბი...

—ერია!... ერია!... რაც მართალია, მართა-  
ლია!“ თავის ქნევით გაიძახოდა ხალხი..

— აბა, რას იტყვით, აღმზრდელნო, თავსრით  
იმართლებთ.?— კვლავ შეეკითხა მოხუცი.

— ასეთი იყო პირობა.. როგორც კი შეგვეძ-  
ლო... ჩვენი რა ბრალია!. ასე, ამ გვარ სიტყვებით  
დაიწყეს თავის მართლება.

კმარა, ჩამოდექით თქვენც.. ეხლა წამოდექით,  
თქვენ...

— ვაჭრები, ვაჭრები, მოხუცო, ერთი ამათი  
ჯავრი!.. ელიჯინებოდა მოხუცს ხალხი.

— მოიცადეთ, უვილნო, მეტისა მქონეს მეტიც



მოეთხოვების; მგელი საშიშოა მეცხვარისათვის, მაგრამ უფრო საშიშოა იგივე მგელი, ცხერის სახით რომ ეჩვენებოდეს. წამოდექით თქვენ, მწიგნობარნო! ჩვეულობრივი ხმით ჩამოსძახა მოხუცმა.

ხალხი სახტად დარჩა; იგრძნო, რომ მოხუცი მთლად არ ემორჩილებოდა იმათ სურვილს, შეიკავა ღელვა და ხმა ჩაკმენდილი უცქეროდა მწიგნობართა კრებას.

დიდ ნაწილს ხალხისას ვერ გაეგო ამათი ბრალი.

— აბა, მწიგნობარნო, როგორც სჩანს, კაცობრიობას თქვენ აძლევდით სულიერ საზრდოს, მერე რა საზრდოს?

— დიდებულო მოხუცო, ჩვენ ერთის მხრივ ვასურათებდით ცხოვრებას ისე, როგორც გვეჩვენებოდა, ვუკიცხავდით ხალხს ცუდს მხარეს, სამაგიეროთ ვუსურათებდით უკეთესს, ვამაღლებდით გონებით და ზნეობით.. ასეთი იყო ჩვენი მოწოდება.“  
ცოტა არა თავ-მომწონეთ უპასუხეს მწიგნობრებმა.

— კეთილი, მერე რა აფაქიზებს ზნეობას, სიტყვა, თუ მაგალითი?

— რასაკვირველია, მაგალითი, ამის გარეშე სიტყვა უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი-- რიხინის კილოთი წამოიძახა ვილამაც? “

აქ კი მწიგნობრებს ცოტა არა ენა შეეკრათ.

— შეილნო, მწიგნობარნო, ვისიმე ჩანადენი განგების წინ არ დაიმალება. აბა მითხარით, მაგა-



ლითად, რას შვრებოდით თქვენ, როდესაც ჰკიცხავდით საკუთრებას? ნუ თუ თქვენვე არ ეტანებოდით იმას! ჰკიცხავდით ხომ პატივ-მოყვარეობას?

მერე, ნუ თუ თქვენვე არ იჩენდით ამას? ჰკიცხავდით მიუდგომლობას, ასევე მრუშობას და ყველა ამას, თქვენ გარყვნილობას ეძახდით და ნუ თუ მეტ-ნაკლებათ თქვენვე არ იზიარებდით ამას?

მწიგნობრები სდუმდნენ.

— მართალია, მოხუცო... ნაკისრი მოვალეობა აღემატებოდა ჩვენს ძალას—უფრო მეტს ვჭეჭდით, ვიდრე ვაკეთებდით და საერთოდ ვემსახურებოდით უფრო სახელს, ვიდრე თანამოძმეთ. იმათ შორის პირველი მე ვარ...

— ჩემი სისუსტე უფრო მეტია!.

— მართალი ხარ, მოხუცო, მარცხენა ხელით ეკალსა ვგლეჯდით, მარჯვენით კი ვთესავდით.. მხოლოდ არიან ღირსეულნიც და წამებით აგვირგვინებდნენ თავიანთ მარჯვენას.“

აირია ეს ხმები მწიგნობართა რიგში.  
მოხუცს ცრემლები მოერია.

— უეჭველია, არიან თქვენშიაც ღირსეულნი; საერთოდ კი ცოდვა თქვენი, როგორც სხვებისა, მეტ-ნაკლებია. ამის გაგება მოგვეცემა ჩვენც. აბა მწიგნობარნო, ახლა კი ჩამოდექით!—

— ახლა კი ვაჭრები, მოხუცო, ვაჭრები!  
კვლავ აყრიამულდა ხალხი, მაგრამ წინანდელთან შედარებით ნაკლები სიბრაზით.



— დე, გამოცხადდნენ ეგენიც:—დასთანხმდა მოხუცი. თქმა იყო ამისა და ასტყდა ერთი ღრიან-ცელი, კივილ-წივილი.

— რა ვქნათ, ჩვენი რა ბრალია.. რა გაგვეგება.. სადაც ეგენი.. იქ ჩვენ რა მოგვეთხოვება.. სხვა რა ვიცით.. როგორც გავიზარდებით!..“

მღულარეთ მოსთქვამდნენ მოვაჭრენი.

— მალე სამსჯავროსაკენ.. მალე თქვე!..— მისძახოდა ხალხი და თან კინწის კვრით, კისერში ცემით ელაღებოდა წინ, სამსჯავროსაკენ.

— აჰა, აი ჩვენი სისხლის მსმელები, წურბელები, მიუზღე, მოხუცო, სამაგიერო.

მოხუცი და კრება წამოდგნენ წინ და განსაკუთრებული ყურადღებით გადმოსცქეროდნენ ამათ.

— სმენა, ხალხო აჰა ვასამართლებთ. აბა, ბრალდებულნო, რაზედ დაიმსახურეთ ხალხის ასეთი ზიზღი.?

— რაღა რაზედ, სული ამოგვხუთეს, ცოცხალი გაგვატყავეს, მოხუცო. შებრალება აღარ არის მაგათში! შესჩიოდა ხალხი.

— რა ვქნათ, ჩვენი რა ბრალია... მაშ როგორ უნდა ყოფილიყო..

ქვეყანა ეგრე იყო, ჩვენი მოგონილი ხომ არ არის.. რასაც ვსწავლობდით... როცა ყველა ფულით იყო ჩვენ მეტი რა მოგვეთხოვება.. ჩვენი რა ბრალია, მოხუცო!..—



მოხუცს კვლავ ცრემლები მოერია. აცრემლდა მთელი კრებულიც.

— ხალხო, ხომ გესმით, რას ამბობენ? მაშ სხვა რა უნდა მოსთხოვოთ ამათ? როდის გაეცხოვრება გული და შერე გაიცივებს? ან ვილას არ მიუძღვის ამ გასამართლებულებში მეტ-ნაკლები ცოდვა? მიიღეთ ყველა ეს მხედველობაში. “

გაისმა სევდიანი ხმა მოხუცისა.

— მართალია, მართალი-ძმებო.. მაგათ პირობაში ჩვენც ვგეთები ვიქნებოდით. ესენი სულ ცხოვრებამ შექმნა, მაგათი რა ბრალია, ჩვენ პირობას უნდა დავემდუროთ. —

წამოიძახა ვილამაც შიგ ხალხის გულიდგან. ამ ხმას მოჰყვა სხვა ხმები, და მალე მიაჩლოუნგეს საერთო ბრაზი.

.. მოხუცი და კრებული ყურს უგდებდნენ.

— ესენი გვეგონენ ჩვენ თავი და ბოლო ბოროტებისა, ნამდვილათ კი სადღა არ არის ბოროტი თესლი!. ვილა არ არის ვაჭარი.. ქვეყნათ ბოროტება უფრო ღონიერი სჩანს, ვიდრე გვეგონა!.

— აი, შეილნო, ხომ ხედავთ თქვენ სისუსტეს? ჩამოსძახა მოხუცმა ხალხს. ხედავთ, როგორ შეგეცვალათ ამთხედ შეხედულობა. ეს იცის დაფიქრებამ როგორცა ხედავთ, ბოროტება ამათგან ჩანადენი დიდია, მაგრამ სახეში მისაღებია თქვენთვის ხმა, ჩამოდექით თქვენც, ვაჭრებო!“



დაიდრნენ მოვაჭრენი. გული სწყდებოდათ მოხუცს და კრებას, რა ხედავდნენ ამათ სიმრავლეს, თითქოს კაცობრიობას მთლად ვაჭრები შეადგენდნენ, ასეთი იყო ამათი რიცხვი.

— საცოდავნი, მართლა რომ დახიჩრებული ხალხია.. ეს კია, ესენი უფროთავისი სახით დაიარებიან, ვიდრე ბევრი სხვა — მგლები ცხვრის ტყავში გახვეულები! —

სევდიანათ შენიშნა ერთმა კრებულთაგანმა.

ამათ შემდეგ კიდევ ბევრი წარსდგა სამსჯავროს წინაშე. მეტ-ნაკლებათ ყველას გამოაჩნდა შეცოდება; ესენიც ისევე იმართლებდნენ თავს, როგორც პირველები. ეგ არის რიგი მუშებზედ მიდგა, რომ ამათ შორის მოისმა ჯაჭვ-ბორკილთა ჩხარუნი და ხრინწიანი, მიმწყდარი ხმაურობა.

— დიდო მოხუცო, გაგვასამართლეთ პირველად ჩვენ.. ჩვენ ყველაზედ შემცოდენი ვართ.. ვაი ჩვენს სირცხვილს... მოგვეციტ გზა სამსჯავროსაკენ!.

ამ ხმასთან ერთად გაიპო კიდევ მუშათა წრე და გამოეყვნენ ვინ ტანისამოსით, ვინ ძონებში გახვეული, ვინ ბორკილით, ვინ ჯაჭვით.. ამათში იყო მოხუციც, ახალგაზდაც, კაციც და ქალიც ყველა გამხდარი, მიხრწნილი, გამწარებული ცხოვრებით, მაგრამ სიმტკიცით და სიყვარულით გაელვარებულნი.

ზოგს მათგანს ნესტიც კი მოჰკიდებიყო სატუ-



საღოში ხანგრძლივი ჯდომით. რომელი წრიდგან-  
ლა არ იყო აქა-ვინ მოხელეთ ყოფილი, ვინ  
სასულიერო წოდების, ვინ მასწავლებელთაგანი,  
ვინ მწერალი, ვინ ყოფილი მოვაჭრე, ვინ ექიმი,  
ვინ ვექილი, თუ მუშა განურჩევლად. ამათში უმეტე-  
სი წილი უცნობი იყო ხალხისა; ხალხი იმათ არ  
იცნობდა, ისინი კი იცნობდნენ ხალხს და ხალხის  
გულისათვის ეწამებოდნენ.

ამ სანახავმა გააოცა ხალხი,

— დიდო მოხუცო, მოძმეთა მდგომარეობის  
გაგებამ გაგვიტაცა. განაბულნი ყურს ვუგდებდით  
ამათ ჩვენებას. ბოროტება დიდი ყოფილა ჩვენ-  
ში. აჰა, რა გამოვერკვივენით აქედგან, მოგვაგონ-  
და თუ რა დღეა დღეს, ვჩქარობთ მოგმართოთ, რომ  
პირველად გაგვიკითხოთ. სისუსტე ჩვენი დიდია..\*

მიმწყდარი ხმით შესძახოდა მოხუცს ერთი წა-  
მებულთაგანი

ხალხი მთლად ფითრდებოდა; თვითეული განა-  
გონი სიტყვა ეკალივით სჩხვლევდა იმათ; რალაც  
სირცხვილს უღვიძებდა.

მოხუცი და კრელოლიც სიხარულის ჟრიანტელმა  
მოიცივა, ველარ გასძლეს სიშორეზედ, თავიანთ უნე-  
ბურათ დაეშვნენ ძირს და მოწიწებით მიესალმნენ  
წამებულთ.

— გიცნობთ, ჰლალნო ძენო, ქვეყნის მარლი-  
ნო და სინათლენო, ბურჯნო კაცობრიობისანო.



მოგვიტევეთ ჩვენი სისუსტეც, ჩვენ ყოფილ მიწისავე აშვილებს, რომ გავბედეთ განსჯა განგებისაგან თქვენ დამი მონდობილი კაცობრიობისა —

სალამთან ერთად ეუბნებოდა მოხუცი.

— ი.ო, მოხუცო, ის ტანჯვა, რომელსაც განვიცდიდით აქამდისინ მოძმეთა გულისათვის, სულ უჩინარია ამ ტანჯვასთან შედარებით. პირველ ტანჯვაში ჩვენ ვსასოებდით მოძმეთა თანდა-თან მოგონიერებაზედ, წამბაძავთა შეძენაზედ და ეს გვინელებდა სიმწარეს. ეხლა კი ვხედავთ ამაგი გვეკარგება, ჩვენს სისხლს და ხორცს საბოლოოთ გვისამართლებთ!. ოო.. დიდო მოხუცო, გაგვასამართლეთ პირველად ჩვენ!..“

თითქმის ერთ ხმად ევედრებოდნენ წამებულნი. მოხუცი და კრებული სიხარულით აღივსნენ, დაეცნენ ძირს და ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

— აჰა, განგების ერთგულნო დარაჯნო! მოდით, ჩემთან ერთად დაიჭირეთ მოსამართლის ალანი, ხმა ჩვენი იქნება ხმა განგებისა. ასეთია სურვილი მისი, —

მიმართა მოხუცმა.

წამებულნი დიდ-ხანს ეწინააღმდეგებოდნენ.

— ჩვენი ვალთა დახმარება და არა გასამართლება —

ეუბნებოდნენ ისინი.

ბოლოს მაინც დასთანხმდნენ. პირველებთან ერთად



წამებულთაც დაიჭირეს მსაჯულთა ალაგი, მოხუცმა მიიღო ჩვეულებრივი მიუდგომელი სახე და განაგრძო განსჯა.გამოუძახა მუშებს.

მუშები თამამათ წარსდგნენ. სამსჯავროს წინ თავისუფლად ეჭირათ თავი, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დიდი იყო იმათათაღმი მსაჯულთა თანაგრძნობა. მართლაც დიდი იყო იმათათაღმი მსაჯულთა სიბრალოელი, მაგრამ სამართალი კი მიუდგომელი.,

— ტანჯულნო შეილნო, აბა მითხარით, რაზედ ურისხდებოდით სამსჯავროს წინა მყოფთ.?

— რაზედ და როგორც შეუბრალებლეს!—დაიწყო ერთმა.

— მერე თქვენც ხომ არ იბრალებთ ერთმანერთს?-- შენიშნა მოხუცმა,

— როგორც სხვის ოფლის მჭამლებს?— გაისმა სხვების ხმა.

— მერე განა ბევრი თქვენგანი ერიდებოდა ამასვე?“

შენიშნა ისევ მოხუცმა.

— რას ამბობ, მოხუცო, ეგ ადამიანის დამწიხლავნი!..“

გაისმა გულ-მოსული ხმა ვილაცისა.

— მერე ბევრი თქვენგანი ერიდება დაწიხვლას?

— ჩვენ სილარიბეში ვლევდით სიცოცხლეს,



ეგენი კი!..

— გეძლოდათ სიმდიდრე და იუარეთ?

— ოხ, დიდო მოხუცო, ნუ გვადარებ მაგათ, ესეც გვეყოფა, რაც ვეწამეთ!. განსხვავება დიდია.. რაც სისუსტე გვაქვს ეგეც მაგათი მეოხებით!..“  
აირია მუშებ შორის საყვედურის ხმა.

— კმარა, შეილებო, ჩამოდექით თქვენც. ტანჯულთათვის წამებული თქვენი მოძმენი გყვანან მსაჯულად. მხოლოდ ეს კი იცოდეთ, რომ როგორც დაინახეთ, სისუსტე საერთო ყოფილა თქვენში, მხოლოდ მიემგზავსებით მონადირეებს, რომელთაგანს ზოგს მეტი ნადირი ხვდება, ზოგს ნაკლები და ზოგს კი სრულიად არა!—

ამ სიტყვებით მოხუცმა ჩამოაყენა მუშებიც. ამ გვარად ყველა გაასამართლეს. დარჩნენ ქურფათები და. მარტოდ დარჩენილი ქურფათობა მწარედ დაბლაოდა. ისინი მისტროდნენ მშობლებს, მშობლები კიდევ იმათ.

ამათ ქვითინზედ შეირცა მსაჯულთა გულიც. დანარჩენებთან ერთად ამდულრდნენ ესენიც.

— აი მომავალი გამგენი ქვეყნისა.. აი სათავე კაცობრიობისა!. ესენი ხომ სულ მთლათ მიწას წაგვანან, რომელშიაც რასაც დავთესამთ, ის ამოვა; მიწანი არიან, რომელიც ზავდება მთლად თავის წინაპართა სისხლით. .

— მერე ვინ არის დამნაშავე, თუა მათში რომე-



ლი როგორი გამოვა?—რასაკვირველია, მემკვიდრეობა და აღზრდა, გარეშე პირობა!. ხომ ასეთებივე იყვნენ ყველა ეს დიდებიც?!

— ახ ქურთათობავ, ჩემი ხან-გრძლივი წამების დროსაც თქვენ მაგონდებოდით!..

მოისმოდა ეს ხმები მსაჯულთა შორი.

— აბა, ჩემო სულიერო შვილებო და ძმებო, როგორცა ხედავთ, სულგრძელმა განგებამ დაგვითმო ჩვენ სულ-მოკლე ამ მიწის ერთგულ ძეთ განსჯა მიწისავე შვილებისა; ვიდრე დავსდებდეთ მსჯავრს, აბა გადახედეთ კაცობრიობას.

ამ სიტყვებზე კრებულმა გადახედა კაცობრიობას და რა დაინახა-თვითყულის თავზედ ამოწეული-ყო სხვა და სხვა ფერის შუქი, სხვა და სხვა სიმაღლისა და სიმრავლისა. ამის დანახვაზედ კრება გაოცდა და გადახედა მოხუცს.

— აი შეხედეთ, ყოველი სახის ჩანადენ ბოროტებას თავისი სხივი აქვს; რაოდენობა კი ამ სხივისა თვითყულის თავზედ უჩვენებს სხვა და სხვა სახით ჩანადენი ბოროტების რაოდენობას; სიმაღლე კი ამა იმ სხივისა ამა იმ ჩანადენი ბოროტების მეტ-ნაკლებობას; ეს არის ღვთაებრივი საიდუმლო, რომლის გაგება მოგვეცა დღეს ჩვენ, ახლა კი შევუდგეთ სამართალს.“

დაათავა მოხუცმა და ასტყდა კამათიცა. კამათი ხან-გრძლივი იყო და მიუდგომელი.



— შენ რაღას იტყვი, ძმაო აბრამ?

შეეკითხა კრებული ერთ თავის მოძმეს, რომელიც ხანგრძლივი წამებით, დევნით მთლად დახიჩრებულიყო და ყოველი ასოს მოძრაობაში საშინელს ტკივილებსა გრძნობდა.

— მეც იმას, რასაც მთელი კრებული ამბობს; ჩანადენი ბოროტება ამა—იმისაგან დიდია, მაგრამ, ცოდვა კი ამა-იმისა ნაკლები. ბოროტება ერთია, ცოდვა კი მეორე. ეს შუქი გვიჩვენებს ჩანადენ ბოროტებას და არა ცოდვას. ამათ ცოდვას არ გვეუბნება განგება. მოიგონე, დიდებულო კრებულო, რომ წყალი რო სათავეში აიმღვრევა, თავის სიგრძეზედ სულ ამღვრევს ყველა ანკარა ჩანადენსაც. ასევეა კაცობრიობის ბოროტებაც. ჩანადენი ბოროტება ადამიანს მაშინ ჩაეთვლება ცოდვათ, როცა ამ ბოროტებას სჩადის განზრახვ, თავისივე სინდისის წინაშე. მერე ამისთანები განა ბევრნი არიან. არა და არა! თითქმის ყოველი ბოროტება ხდება ღვთისა და სინდისის სახელით, ეს კი შედეგია, რასაკვირველია, ადამიანის სისუსტისა, მცმკვიდრობით, თუ გარემო პირობის გავლენით. ამისთვის გაასაღეთ იმისი ბუნება, მოთხოვნილებათ გაუხადეთ ადამიანივე და თვითვე იქნება თავისი მსჯავრის დამდები. ასეთია ჩემი განაჩენი. კაცობრიობა სისუსტეში იბადება, ამისათვის სუსტია. იმას უნდამკურნალი და არა ჯალათი. ოო... თუ გაკიცხვას, გამკიცხეთ მე... რო



შევრი საუკეთესო დრო ქარაფშუტობაში დამიკარგია მაშინ, როდესაც რითიმე შემეძლო მოძმეთათვის დახმარება... წუთიც კი ძვირია კაცობრიობისათვის, წუთიც., ვაიძე, ჩემო სულის საკვებო, რომ ძალა მღალატობს!..“

გაიგმინა აბრამმა და ტკივილებისაგან შეწუხებული მიწაზედ მიეშვა.

— მართალი ხარ, აბრამ, მართალი., რაც ითვლება, ის იმკის. ვისაც ჩანერგვია სხვისი პატივისცემა სიბრალული და სიყვარული, იგი ყოველ სასტიკ მსაჯულზედ უსასტიკესია თავის მოქმედებაში, ვისაც არა, იმას არც მოეთხოვება..“

გაისმა სევდიანი, ნაბრძოლი, მაგრამ შეუპოვარი ხმა მეორესი, რომელიც მთლად ჩონჩხად-ლა ჩამომდნარყო.

— მართალია, მართალი-დაადასტურა ერთ ხმად კრებულმა.

— დიდია ბოროტება ქვეყნისა, მაგრამ იგი შედეგია ადამიანის სიბრმავისა და აბა ბრმას ვინ მოჰკითხავს ალათ სიარულს; ამ გვარად, რამდენადაც სასტიკია არსებული ბოროტება, იმდენად შესაბრალისია მისი ჩანადენიც, როგორც ბრმა, — მთვრალისა, აქსაჭიროა იმათი დროზედ გასაღება და არა ჯალათი. მართალია, გზა თითქოს შორია, მაგრამ ნამდვილი კაცობრიობის ბედნიერებისაკენ. ეს გზა უნდა იყოს აღიარებული თვით განგებისაგან, ვინაიდან იგი სულ-



გრძელია. დავითხოვოთ კაცობრიობა, წავიდნენ თავ-  
თავისაკენ და წავყვეთ ჩვენც. ჩვენს ცდაზედ და სიმრავ-  
ლზედ ჰკიდია მაგათი მომავალი. კიდევ ვიმეორებ,  
ჩვენი ვალია მკურნალობა და არა დასჯა?“

წყრომით შენიშნა ერთმა ქალმა და თავ-მდაბ-  
ლად ჩამოდგა უკან.

— ამინ, ამინ, ამინ!. შეამტკიცე, მოხუცო,  
ჩვენი ხმა!“

ერთ ხმად მიმართა კრებულმა მოხუცს.  
ეს ხმა იყო და მოხუციც თითქო გამოერკვია მძიმე  
ფიქრებს, გახარებული ამ გადაწყვეტილებით უნებუ-  
რათ დაეცა მუხლებზედ და ზეცისაკენ აღაპყრო  
თვალები.

— მამაო, აჰა გიცანით შენ.. ჩვენ, ჩვენ სისუს-  
ტეს ვასამართლებდით, მოგთხოვეთ უფლება მსჯავრის  
დადებისა, მაინც მოველით შენთან. ვცანით საჭირო-  
ება შენის სულგრძელებისა, მუშაობა და სულგრძე-  
ლება ყოფილა პირობა კაცობრიობის გასაღებისა.  
ამას მოითხოვს სიმართლე და სიყვარული. რამდენ-  
ადაც ადამიანში მეტია ეს სიყვარული, იმდენად იგი  
სულ-გრძელიც ყოფილა, მამაო. დიდია ბოროტება  
ხალხში, მაგრამ კაცობრიობას არ ელევინ ერთგულ-  
ნი ძენიც. ესენი კრიჭაში უდგანან ამ ბოროტებას,  
ღებულობენ თავზედ კაცობრიობის ბედსა, ამის თავ-  
მდებია ამათი თავ-განწირვა.

ასე, მამაო, ისეთი განსჯა, რომელსაც მოველო-



დით ჩვენ, სულ უაღაგოა, უსამართლო, ხვედრი სუსტი ადამიანისა და არა იმათი, ვისაც მოხსურებია მეტი შუქი და ნამი შენი გონება--შუქისა. ასეთები კი, სანუგეშოთ, ჰყავს კაცობრიობასა. მაშ ვსტოვებთ კაცობრიობას, როგორც არის შენგან, ნამცნები სიყვარულით გაღვიებულ პირთა ანაბარა. შორია ეს გზა, მაგრამ ჰალალი, უებარი. ასეთია ჩვენი განაჩენი. იდიდოს, განგებავ, სახელი შენი ჩვენ შორის.“

ამინ, ამინ, ამინ.— შეამოწმა კრებულმაც მოხუცის ხმა, რის შემდეგ მოხუცმა დაითხოვა კაცობრიობა.

მოულოდნელი იყო კაცობრიობისათვის ასეთი განაჩენი; იგი მოელოდა ჩვეულობრივ სამართალს. გახარებული ამ განაჩენით მხიარულათ ახმაურდა და გაემართა ყველა თავ--თავის გზისაკენ, თავ-თავის ჩვეულობრივ საქმეზედ. გამგზავრება იყო ამათი და დაფაცურდნენ ჯერეთ მიწიერნი წევრნი კრებულისაც. წადით, გაეშურენით თქვენც კურთხეულნო სული ერნო ძმანო და შვილნო, თქვენითა სუნთქავს კაცობრიობა; გაეშურენით თქვენ, სინათლენო და მარილნო ქვეყნისანო.. იყავით ეგრე მუშაკნი და სულგრძელნი; თქვენ--გვარებით ხარობს განგებაც!.—

ეს იყო უკანასკნელი სიტყვა მოხუცისა.

სიყვარულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს; მიწიერნი გაეშურნენ კაცობრიობისაკენ, ყველა თავ-თავის ალაგას, უფრო მეტის რწმენით, მეტის სიბრალულით,



შეტის სულ-გრძელობით; ყოფილ მიწიერთ კი ამო-  
უვარდათ ამ დროს ძლიერი ქარი, ჩამოეშო ღრუ-  
ბელთა გუნდი და აუჩქარებლივ წარმართა იგინი  
ზეცისაკენ. კაცობრიობა დიდ ხანს შესცქეროდა ამ  
სურათს, ხედავდა, რა სიყვარულით, კურთხევით  
ეთხოვებოდა კრებული ამათ და კარგა ხანს ესმოდა  
გალობით შემდეგი სიტყვები:

“დიდება სულ-გრძელებასა შენსა, უფალო, დი-  
დება?”

მიხეილ ივ. „მომხკვდავისა“

სოფელი-ახალგორი.



17  
2 83



ფანი 10 კპპ.